საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ კახაბერ კუჭავას:

საკანონმდებლო წინადადება

(სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ)

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას (კონკრეტული წინადადების სახით), რომლის მიზანიც არის საქართველოს იმ არასრულწლოვანი მოქალაქეების დახმარება, რომლებიც ადრეული ნიშნობის და ძალადობის მსხვერპლი არიან.

საკანონმდებლო წინადადების საჭიროების დასაბუთება:

ცხადია, თანამედროვე სამყაროში, ნიშნობის იძულება ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩება. განსაკუთრებით მძიმეა არასრულწლოვანთა ნიშნობის იძულების ფაქტები და იგი ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში. აღნიშნულ შემთხვევაში ირღვევა ადამიანიას საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. ნიშნობის იძულებით მოძალადე არღვევს არაერთ ეროვნულ თუ საერთაშორისო აქტს, რაც ვფიქრობთ, აუცილებლად დასჯადი უნდა იყოს და უნდა მოხდეს აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია. ცხადია, არასრულწლოვანთა ნიშნობის იძულება უპირველეს ყოვლისა არღვევს, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს, რადგან როდესაც ერთი ადამიანი აიძულებს მეორე ადამიანს რაიმე ქმედების განხორციელებსთვის, აქ უკვე დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნიშნობის იძულება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლს, რაც გულისხმობს ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. ნიშნობის იძულება, გარკვეულწილად, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ სფეროში ექცევა, რაც უხეშად არღვევს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას. არასრულწლოვანთა ნიშნობის იძულებასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მე-5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების დაცვა.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-7553/21
07-06-2021 წ. ფურცლ. 6

ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება". ასევე მნიშვნელოვანია, მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით: „ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი ოჯახურ გარემოში პიროვნული განვითარების უფლება, ბავშვის სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა და ბავშვის მოსაზრებები." ცხადია, არასრულწლოვანთა ნიშნობის იძულების დროს არცერთი მშობელი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ნორმებს, რაც კიდევ უფრო ამართლებს მათი ასეთი ქმედების დასჯადობის აუცილებლობას. ასევე, არანაკლებ საყურადღებოა, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-8 მუხლი ბავშვის ინდივიდუალობასთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლის თანახმად: 1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა. 2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თვისი ინდივიდუალობის ნაწილს ან ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას საჭირო დახმარებით და დაცვით მისი ინდივიდუალობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისათვის. ე.ი. აშკარაა, რომ არასრულწლოვანთა იძულებითი ნიშნობის დროს ბავშვი ფაქტობრივად კარგავს თავის ინდივიდუალობას, მის აზრს არ ექცევა არანაირი ყურადღება, სწორედ ამიტომაც, ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ ბავშვის ინდივიდუალობის დაცვა, რაც ყველა სხვა აკრძალვებთან ერთად, ასევე მოიცავს ნიშნობის იძულების აკრძალვასაც. ბავშვის ინტერესებთან და ნიშნობის იძულებასთან მიმართებაში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტია 2007 წლის 25 ოქტომბრის ლანსაროტის ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია და სტამბოლის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. ლანსაროტის ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე გაატარებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა დაეხმარონ მსხვერპლთ მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნით როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან

პერიოდში. ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის თვალსაზრისს, მის საჭიროებებსა და წუხილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიშნობის იძულების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა რიცხვი წლიდან-წლამდე იზრდება, სახელმწიფო კი თავს იკავებს და არ დგამს შესაბამის ნაბიჯებს მათ დასახმარებლად. შესაბამისად, საჭიროა არსებობდეს გარკვეული სახის რეგულირება ნიშნობის იძულების აკრძალვასთან დაკავშირებით, რათა დაზარალებულებმა მიიღონ სახელმწიფოსაგან შესაბამისი მხარდაჭერა.

საკანონმდებლო წინადადების მიზეზი:

აუცილებელია გატარდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები/რეგულაციები, იმისათვის, რომ ყველა მშობელს აეკრძალოს არასრულწლოვანი შვილის ნიშნობა იძულებით, რაც ცხადია ხშირ შემთხვევაში იწვევს როგორც არასრულწლოვანი ბიჭის ასევე გოგოს განათლების მიღების შეზღუდვას, რადგან მათ ეკისრებათ გარკვეული ოჯახური პასუხისმგებლობა, და რაც ასევე ხელს უშლის მათ ჯანმრთელობას, რადგან, გოგონებიც ხშირ შემთხვევაში ოჯახური ძალადობის და სექსუალური ზეწოლის მსხვერპლი არიან, ეს ყოველივე კი არასრულწლოვნის ფსიქიკაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, რაც უმეტეს შემთხვევაში სუიციდით ან გაუჩინარებით მთავრდება. შეიძლება ითქვას, რომ ნიშნობის იძულება თავისი ბუნებით არსებითად განსხვავდება ქორწინების იძულებისგან. რომ შევადაროთ ქორწინებისა და ნიშნობის ცნება, იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შემდეგნაირადაა განმარტებული: 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. ხოლო რაც შეეხება ნიშნობას, 1109-ე მუხლის მიხედვით არის დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ნიშნობა და ქორწინება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის კონკრეტული ესა თუ ის ნორმა ნიშნობის იძულებასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იგი ექცევა ქორწინების იძულებით დაცულ სფეროში, რაც ჩვენი აზრით არ არის მართებული და კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზზე მიუთითებს. ხშირ შემთხვევაში, როგორც სასამართლო, ასევე სხვა ადმინისტრაციული ორგანო მიმართავს კანონის ანალოგიას ნიშნობის იძულებასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია, 2021 წლის 8 თებერვალს გავრცელებული მოვლენები. კერძოდ, მიმდინარე წლის 8 თებერვალს, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეომასალა, 11 წლის არასრულწლოვანი გოგონას შესაძლო ნიშნობის

შესახებ. ფოტოზე ასახულია საქართველოს მოქალაქეების, 11 წლის გოგოსა და 15 წლის ბიჭის "ნიშნობა". ამასთან, ფოტოზე ჩანს ტორტი, რომელსაც აწერია "ხელის თხოვნისთვის" დამახასიათებელი სტანდარტული სიტყვები. აღნიშნულთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა. როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ქორწინების იძულებას გულისხმობს. სამინისტროს მიერ გამოყენებული ეს კონკრეტული რეგულირებაც ცხადჰყოფს, რომ შსს-მ გამოიყენა ქორწინების იძულებასთან დაკავშირებული რეგულირება და არა ნიშნობის იძულებასთან დაკავშირებული იმიტომ, რომ ეს უკანასკნელის შესახებ კანონში არ არის კონკრეტული დებულება. 8 თებერვალს მომხდარ მოვლენაში საქმე გვაქვს არა უშუალოდ ქორწინების იძულებასთან, არამედ ნიშნობის იძულებასთან. აღნიშნულ შემთხვევაში არცერთი მხარე არც 11 წლის არასრულწლოვანი (გოგო) და არც 15 წლის არასრულწლოვანი (ბიჭი) ვერ გაიაზრებს, მშობლების ასეთმა ქმედებამ ანუ ნიშნობის იძულებამ რა შეიძლება გამოიწვიოს. ამ კითხვის პასუხი ასეთია: განვითარების შეზღუდვა, დამოუკიდებლობის შეზღუდვა, აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, განათლების უფლების შეზღუდვა, საზოგადოებასთან ურთიერთობის დაუმყარებლობა და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში ირღვევა როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული უფლებები, ისევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის დებულებები, საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის კონკრეტული ნორმები, ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის დებულებები, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმები და ა.შ. მეორეს მხრივ, ვეთანხმებით იმ ფაქტს, რომ ნიშნობაც გარკვეულწილად ქორწინებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ პრაქტიკაში ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნიშნობის იძულებამ გამოიწვია ისეთი საზარელი შედეგი, რომ ფაქტობრივად არც რეგისტრირებული და არც არარეგისტრირებული ქორწინება არ შემდგარა, მაგრამ სახიფათო შედეგი მაინც დადგა. მაგალითად, ასეთ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს სუიციდი (თვითმკვლელობა) - ერთ-ერთი სოციოლოგის თქმით, თვითმკვლელობაზე მრავალი სოციალური ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, სოციალური ფონი, ურთიერთობა საზოგადოებასთან, თვითდამკვიდრების პრობლემა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ნიშნობის იძულებას ამ ყველაფრის რეალიზაცია შეუძლია, რაც ძალზედ საზარელი ფაქტია.

დასკვნისთვის, ზემოთ ჩამოთვლილის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მიზანია, არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემცირება და პრევენცია და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შევსება.

საკანონმდებლო წინადადების არსი:

არასრულწლოვანთა იძულებით და უკანონო ნიშნობის შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვანთა დასახმარებლად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები შეიძლება დაეფუძნოს შემდეგ საკითხებს:

1. დაზარალებულად შეიძლება ცნობილი იყოს, არასრულწლოვანი, როგორც ბიჭი ასევე გოგო, რომლებიც საკუთარი ნება-სურვილის წინააღმდეგ იძულებულნი არიან დაემორჩილონ მშობლების სურვილებს.
2. არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობა უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის მიერ, მოცემული საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე.
3. დაზარალებულად შეიძლება იყოს ცნობილი, არასრულწლოვანი, რომელსაც ეზღუდება განათლების მიღების შესაძლებლობა.
4. დაისაჯოს შესაბამისი სასჯელით პირი, რომელიც არასრულწლოვნებს აიძულებს ნიშნობას და საერთოდ, არ იზიარებს არასრულწლოვნების მოსაზრებას ნიშნობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 150^2 მუხლი და საკანონმდებლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს **მუხლი150^2 ნიშნობის იძულება:**

1. ნიშნობის იძულება - ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი:
   ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ;
   ბ) არაერთგზის, –
   ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საკანონმდებლო წინადადების ავტორები:

1. **კახაბერ ძაგანია**
   პირადი ნომერი: [redacted]
   მობილური ნომერი: [redacted]
2. **გიულჩინ ახმედოვა**
   პირადი ნომერი: [redacted]
   მობილური ნომერი: [redacted]
3. **ელენე ჭიპაშვილი**
   პირადი ნომერი: [redacted]
   მობილური ნომერი: [redacted]
4. **მამუკა გულდედავა**
   პირადი ნომერი: [redacted]
   მობილური ნომერი: [redacted]